

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მომზადდა 2015 წლის ნოემბერში. 2016 წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისას გამოვლენილი ზოგიერთი გარემოებიდან გამომდინარე საჭიროა დაზუსტდეს 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, მათ შორის შეიცვალოს სესხის სახით მისაღები რესურსის სტრუქტურა, ბიუჯეტში ასახვას საჭიროებს დონორების წყაროებით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში გაწეული გადასახდელები. ასევე სხვადასხვა მხარჯავ დაწესებულებაში ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის და ზოგიერთ პროგრამაში არსებული ეკონომიის ხარჯზე ხორციელდება რესურსების მობილიზება ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის დაფინანსებისათვის.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს მე-40 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მათი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება.

#### ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

##### ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრება 10 318.0 მლნ ლარით, რაც დამტკიცებულ მოცულობას აღემატება 173.0 მლნ ლარით, ძირითადად დონორებისგან მოზიდული საინვესტიციო გრანტების და კრედიტების ხარჯზე, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ზრდა შეადგენს მხოლოდ 20.0 მლნ ლარს, კერძოდ:

- საგადასახადო შემოსავლების გეგმა რჩება უცვლელი და კვლავაც განისაზღვრება 7 980.0 მლნ ლარით;
- სხვა შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა ასევე რჩება უცვლელი და კვლავაც განისაზღვრება 320.0 მლნ ლარით
- გრანტების სახით დაგეგმილი შემოსავლები მცირდება 8.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 246.8 მლნ ლარით, მათ შორის:

- ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტების მოცულობა მცირდება 20.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 105.0 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ევროკავშირთან მაკროფინანსური დახმარების პროგრამის (MFA) ფარგლებში მისაღები გრანტი ჩამოირიცხება 2017 წელს, ნაცვლად 2016 წლისა;
- საინვესტიციო (ხარჯზე მიბმული) გრანტების მოცულობა იზრდება 11.8 მლნ ლარით და განისაზღვრება 141.8 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროების მიერ დონორებისგან მოზიდული გრანტების ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესრულების მაჩვენებლით;
- არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსულობები უცვლელი რჩება და განისაზღვრება 225.0 მლნ ლარით;
- არ იცვლება ფინანსური აქტივების კლებიდან დაგეგმილი შემოსულობების მოცულობა და კვლავაც განისაზღვრება 90.0 მლნ ლარით.
- ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი იზრდება 181.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 456.2 მლნ ლარით, მათ შორის:
  - საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდა იზრდება 180.0 მლნ ლარით და შეადგენს 380.0 მლნ ლარს, ხოლო საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტები მცირდება 140.0 მლნ ლარით და შეადგენს 255.0 მლნ ლარს.

აღნიშნული გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან მისაღები სახსრების ნაწილმა გადაინაცვლა 2016 წლის დეკემბერში, ხოლო ნაწილმა 2017 წლისათვის. აზიის განვითარების ბანკთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბიუჯეტი 2016 წლის ბოლოს მიიღებს 255.0 მლნ ლარს, ნაცვლად თავდაპირველად დაგეგმილი 120.0 მლნ ლარისა, ხოლო მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი და ევროკავშირთან მაკროფინანსური დახმარების პროგრამის (MFA) ფარგლებში მისაღები რესურსი 275.0 მლნ ლარის ოდენობით ჩამოირიცხება მომდევნო წელს. საგარეო წყაროებიდან საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების დროში გადავადებიდან გამომდინარე, დამატებითი რესურსი მოძიებულ იქნა შიდა ბაზარზე. შედეგად 2016 წლისათვის სახაზინო ვალდებულებების გამოშვების წმინდა ზრდა განისაზღვრება 380.0 მლნ ლარით, ნაცვლად 200.0 მლნ ლარისა. დონორების მიერ კონკრეტული პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები იზრდება 141.2 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია ამ პროექტების ფარგლებში თანხების ათვისების ტენდენციასთან.

### **ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ასიგნებებზე**

ბიუჯეტის გადასახდელები იზრდება 153.0 მლნ ლარით და განისაზღვრება 10 298.0 მლნ ლარით, მათ შორის:

- ✓ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში დაგეგმილი გადასახდელები რჩება უცვლელი და კვლავაც განისაზღვრება 9 335.0 მლნ ლარით;

- ✓ გრანტების ფარგლებში დაგეგმილი გადასახდელები იზრდება 11.8 მლნ ლარით და განისაზღვრება 141.8 მლნ ლარით;
- ✓ კრედიტების ფარგლებში დაგეგმილი გადასახდელები იზრდება 141.2 მლნ ლარით და განისაზღვრება 821.2 მლნ ლარით;

სხვადასხვა სამინისტროების და მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვის და ზოგიერთ პროგრამაში არსებული ეკონომიების ხარჯზე უწყებების ასიგნებები საბიუჯეტო სახსრების ნაწილში მცირდება 40.0 მლნ ლარით და მობილიზებული რესურსი მიიძღრება ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის დასაფინანსებლად. **საინვესტიციო გრანტებსა და კრედიტებში**, სხვადასხვა უწყებების მიერ პროექტების შესრულების ტენდენციის გათვალისწინებით, აისახება ათვისებული სახსრები, კერძოდ:

- ✓ **საქართველოს პარლამენტი** - ასიგნებები მცირდება 2.0 მლნ ლარით, საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე;
- ✓ **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია** - ასიგნებები მცირდება 2.0 მლნ ლარით;
- ✓ **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** - ასიგნებები მცირდება 3.5 მლნ ლარით;
- ✓ **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** - ასიგნებები მცირდება 9.0 მლნ ლარით;
- ✓ **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები ჯამურად იზრდება 80.4 მლნ ლარით და განისაზღვრება 750.4 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია კრედიტების ნაწილში 82.4 მლნ ლარის (პირდაპირი ჩარიცხვები) ასახვით;
- ✓ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** - ასიგნებები 23.2 მლნ ლარით, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ გრანტის ფარგლებში ათვისების ტენდენციიდან გამომდინარე პროგრამა მცირდება 16.8 მლნ ლარით. **ჯამურად სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრება 952.0 მლნ ლარით;**
- ✓ **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო** - ასიგნებები იზრდება 69.5 მლნ ლარით და განისაზღვრება 204.5 მლნ ლარით, რაც ძირითადად გამოწვეულია საინვესტიციო გრანტებითა და კრედიტებით განსახორციელებელი პროექტების ათვისების ტენდენციით.
- ✓ **საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** - სამინისტროს ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება უცვლელი რჩება და კვლავაც განისაზღვრება 950.0 მლნ ლარით, ამასთან საინვესტიციო გრანტებისა და კრედიტების წყაროებით დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ზუსტდება გეგმები, პროექტების ათვისების ტენდენციის გათვალისწინებით;
- ✓ **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს** მიერ დონორი ორგანიზაციების გრანტების და კრედიტების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ათვისების ტენდენციიდან გამომდინარე სამინისტროს ასიგნებები მცირდება 10.3 მლ ლარით (მათ შორის გრანტი 1.5 მლნ ლარით, ხოლო კრედიტი 8.8 მლნ ლარით) და განისაზღვრება **311.1 მლნ ლარით;**
- ✓ **საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახდელებში** აისახება EBRD-ის დაფინანსების ფარგლებში თბილისის ავტობუსების შესყიდვაზე მიმართული სახსრები (გრანტი 2.0 მლნ ლარი და კრედიტი 14.8 მლნ ლარი), ასევე ზუსტდება ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის დაფინანსება. **ჯამურად საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების დონორების ნაწილი იზრდება 13.2 მლნ ლარით, ხოლო ბიუჯეტი განისაზღვრება 1 971.0 მლნ ლარით.**

- ✓ სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური - ასიგნებები მცირდება 0.6 მლნ ლარით;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამის ბიუჯეტი 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი განისზღვრულ იქნა 570.0 მლნ ლარით, მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებით გამოეყო 35.0 მლნ ლარი და ბიუჯეტი შეადგენს 605 მლნ ლარს. 2016 წლის 11 თვის საკასო შესრულების მიხედვით პროგრამის ფარგლებში ათვისებულია 600.0 მლნ ლარამდე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული უწყებების ბიუჯეტებში არსებული ეკონომიებიდან მობილიზებული რესურსი (40 მლნ ლარი) მიიმართება პროგრამის დასაფინანსებლად, ასევე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განახორციელებს მისი ბიუჯეტის ფარგლებში არსებული რესურსების მობილიზებას. ამასთან აღსანიშნავია, რომ 2017 წლიდან იგეგმება პროგრამის მოდიფიცირება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება როგორც პროგრამის მდგრადობა, ასევე შენარჩუნდება პროგრამის ბენეფიციარებისათვის სათანადო მომსახურების მიწოდება.

**ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

**ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონის პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მათი განსაზღვრის წესს.

**გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

**გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**  
კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან**

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

**დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში**

**დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ**

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის მიერ;

**დ.გ) კანონის პროექტის ავტორი**

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

**დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი**

კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.